სახალხო გაზეთი

№ 187 შაბათი, 18 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 187

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიოით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი მეტიოით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამელოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო კერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 კ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომ. ლნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საკაბრო სახლის ლ. და ე. მატლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, ჩიასნიცკის ქ., ს. ხიტროვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკოვაია 11, ვარშავაში—ძარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირველის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპოდენციები ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუშაოდღეების 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე — **სახალხო გაზეთი** — წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავ პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გაზეთის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუშაოდღეებს 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარეთ ხელის მოწერთ ფული უნდა გამოგზავნოთ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განხრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერელებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

ნინო ნიკოლოზის ასული ბატბერაძეისა, სამსონ წერეთელი შვილებსა და რაჟდენ ჯაფარიძე მეუღლეთურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი დის, მეორე ძმისწულის და მესამე ბიძაშვილის

ნატალია ნიკოლოზის ასულის წერეთლის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 19 დეკემბერს, დილის 9 საათზე. წირვა და პანაშვიდები ყოველ დღე, საღ. 6 საათ. დაკრძალვა კუკ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. ანდრეევის ქ. № 18. (5—289 4)

ევგენია ლავრენტის ასული და არჩილ რაჟდენის ძე ჯაჯანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნოთ

ნატალია ნიკოლოზის ასულის წერეთლის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 19 დეკემბერს, დილის 9 საათზე. წირვა და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ანდრეევის ქ. № 18. (2—2)

ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო კონსისტორია ულრმესის მწუხარებით აუწყებს ქალაქის მცხოვრებთ, რომ **კვირას, 19 დეკემბერს**, წირვის შემდეგ, ვანქის ტაძარში.

მის უწმინდესობის სრულიად სომეხთა უმაღლეს პატრიარქისა და კათალიკოზის

დაკრძალვის დღეს, 12 საათზე, მისის სულის ეროსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი.

ეროვნულ-ეკლესიურ ბიბლიოთეკა

ბიბლია

სთხოვს პროვინციის აგენტებს თავის დროზე გამოგზავნონ გაზეთების დასაკეთი ფული, უკანასკნელ შემთხვევაში გაზეთების გზავნა შეწყვეტილ იქმნება და აგენტურა სხვა პირს გადაეცემა.

მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—20)

სახალხო თეატრი

სამშაბათს, 21 დეკემბერს,

იუბილე კ. მესხისა

საღამესასწაულო წარმოდგენა,

ოთხ განყოფილებად:

I

მილოცვა ამხანაგ მსახიობთაგან და დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი,

პირველი მოქ. კ. მესხის მიერ გადმოკეთებული.

II

პირველი ცოლის მოგონება,

მე-4 მოქ. ვ. შექსპირისა, თარ. კ. მესხისა.

III

სიკვდილი ნაპოლეონისა,

დრამატ. ეტიუდი, 1 მოქ.

IV

საერთო მილოცვები და ადრესების მირთმევა.

მონაწილეობს მთელი დასი.

მ. კავსაძის დიდი ქართული ხორო.

სრული ოპერის ორკესტრი.

წარმოდგენის დღემდე ბილეთები იყიდება ქართულ თეატრში

დასაწყისი 8 საათზე. დრამ. გამგეობის თავმჯდ. **ნ. ქართველიშვილი.**

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 37.

კვირას, 19 დეკემბერს, 1910 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა:

მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედებად, ი. გედევანიშვილისა.

ამ პიესისთვის დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტანთსაცმელები.

II

სირცხვილია

ვოდევილი 1 მოქმედებად, ვინ-განისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი ხალამოს 8 საათზე.

ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოება. (5—4) რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარგად ეოფილ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ.. ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ალერ-ნიკოლოფოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგან ნი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წო—5.—516)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

გასაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვიტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მენანდეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—353)

ექიმი ალ. კბილისა

სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პრეს. N 12, სახლი მდივნისა. (ე)

ექიმი ვ. ნ. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ბორჩხინის ქ., № 9. (ე)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ბუთმაბათოვით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ე)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორდანოვის ქ. N 20. (0—ნ.—109)

ექიმი კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა ხნეულებიანი** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ს.—6 ს. **საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.**

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბოგოლისა და მატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—290

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ძ. ძუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის ხნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიუარაძისა. (თ.—188—39)

ექიმი რ. დ. მაჩავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგინოვის ქუჩა N 7. ო.—180—57

ექიმი ძ. ძუთაისში

თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშვარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის ხნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილარეტოვის სახლი, (50—170—34)

მსურს ვიყიდო **უძველესი ხელნაწერები** თათრული, სპარსული, ქართული და სომხური აგრეთვე სპარსული ძველებური სურათები.

Семеоновская ул. д. № 4. Мкртычъ Амаміанъ. (3—284—3)

ტფილისი, 18 დეკემბერი

თვით-მოქმედება. ისევ ძველ თემას გვინდა დაუბრუნდეთ. ზოგიერთ მოვლენებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში, ზოგიერთი სუსტი მხარენი იმდენად აფერხებენ ქართველ ხალხის კულტურულ წინმსვლელობას, რომ ძალა-უნებურად აზრი ერთთავად მათს გარშემო ტრიალებს. გვინდა ჩვენს მკითხველს ვემუსაიფოთ იმ ძირითად უკუღმართობაზე, რომელსაც სახელად თვით-მოქმედების უქონლობა ეწოდება. ძალიან ხშირად ქართველ ხალხის კულტურულ წარმატებას წინ ეღობება ეგრედ წოდებული „ობიექტიური პირობები“. ეს ობიექტიური პირობები ხელ-ფეხს გვიბორკავენ, მოქმედებას ანელებენ და უკარგავენ იმ სიძლიერეს, რომელსაც გამოიჩენდა საზოგადოება, ცხოვრების უკეთეს პირობებში რომ უხდებოდეს მუშაობა. თავისუფალ განვითარების მრავალი ხელის შემშლელი მიზეზები ქართველ ხალხის დენაციონალიზაციის საქმეს აჩქარებენ და საწინააღმდეგოდ კი საიანადო საშუალებანი არ მოგვეპოვება. შინაგან ძალთა სიძლიერე საკმაო წინააღმდეგობას ვერ უწევს გარეშე პირობების ზედ-გავლენას. მაშინ, როდესაც ქართველ ხალხის მომავალი საესებით იმაზეა დამოკიდებული, თუ ეს შინაგანი ძალნი რამდენად აღემატებიან გარეშე პირობათა განმანადგურებელ სიძლიერეს, შინაგან ძალთა სიმძლავრეს კი განსაკუთრებით თვით-მოქმედება ჰქმნის. თითქოს განგებაო, ჩვენი ცხოვრება იმ გზით მიმდინარეობდა, რომ სათავეში ჩაეკლა ეს თვით-მოქმედება. ამაში დიდი ბრალი სდევს ქართველ თავად-აზნაურობას. რუსეთის გაბატონებამ საქართველოში თავად-აზნაურობასაც გაუხსნა გზა მოხელეობისა. თავად-აზნაურობაც გასაოცარის ენერგიით დაეწაფა მოხელეობას. თავად-აზნაურობის ერთადერთს სათაყვანებელ დმერთად მარტო მოხელეობა გადაიქცა. ასეთივე იყო და ასეთივეა ემეტეს შემთხვევაში დღესაც ქართველ ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი. ვინც ჩვენს ცხოვრებას კარგად ჩაუკვირდება, ნათლად დაინახავს, რა ღრმადა აქვს გამჯდარი თვითთოეულს ქართველს ძვალსა და რბილში წყურვილი მოხელეობისადმი. მოხელეობა გადაქცეულია რაღაც ჯადოსნურ იდეალად, რომელიც ძალუმად იზიდავს თავისკენ არამც თუ თავად-აზნაურობის შეძლებულ ნაწილს, არამედ წერილ-ფეხა თავად-აზნაურობასაც-კი. უფრო მეტსაც ვიტყვ[illegible] თავ[illegible]ვანის-ცემა მოხელეობისადმი [illegible] თან გლეხ-კაცობაშიაც იკიდებს ფესვს.

მხოლოდ ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენში გასაოცარის სისწრაფით ვრცელდება გიმნაზიები და პროგიმნაზიები. განათლების წყურვილს აქ არავითარი ადგილი არა აქვს. ქართველ თავად-აზნაურთა წრეებში რომ მართლა განათლების წყურვილი არსებობდეს, ისეთის ცოდნის შეძენაზე იზრუნებდა, რომელიც მისს პირობებს შეეფერება. მაგრამ თავად-აზნაურობას წყურვილი არა აქვს. სოფლის მემამულეს, რომელიც მამულზე დაბადებულა, მამულით ირჩენს თავსა და მამულშივე მოკვდება, ერთხელაც არ მოუვა თავში ისეთი განათლება მისცეს თავის შვილს, რომელიც თავის მამულის შემოსავლიანობას გაათკეცებს და ამით ცხოვრების პირობებს გაუმჯობესებს. ასეთი მემამულე თავს სრულიად დაუკმაყოფილებლად ჩასთვლის, თუ შვილს პროგიმნაზიული სწავლა მაინც მისცა და პატარა მოხელედ გადააქცია. ჩვენებურ პროგიმნაზიებს ასულდგმულებს მხოლოდ ეს უძლეველი მისწრაფება მოხელეობისადმი.

მოხელეობა კი ისეთი რამაა, რაც ერის ორგანიზმს არაფერსა ჰმატებს. განათლებული ნაწილი ქართველ ხალხისა სწყდება ეროვნულ ცხოვრებას; იგი, როგორც შემომქმედი ძალა, იკარგება. მეორე მხრივ, უზომო სიყვარული მოხელეობისა აჩლუნგებს თვით მოქმედებას. აუარებელი სიმდიდრე, ბუნებრივი სიმდიდრე საქართველოსი დაუმუშავებელი და გამოუყენებელი რჩება, ძალა და ენერგია კი მოხელეობაზე იხარჯება. არც ერთი დარგი სასოფლო მეურნეობისა არ არის განვითარებული, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ვაჭრობა-მრეწველობას არავინ ყურადღებას არ აქცევს მაშინ, როდესაც გამდიდრების წყაროდ შეიძლება გადაიქცეს. თუ ჩვენი ცხოვრება ამ გზით განვითარდა, პროგრესიულ გალატაკებას თავს ვერ დავაცდენთ. გაჭირვებიდან გამოყვანა ხოლოდ თვით-მოქმედებას შეუძლიან, საკუთარს ძალებზე დამყარებათვით-მოქმედებას ერის მატერიალურ კულტურას წინა სწევს, მატერიალურად მოდონიერებულ ერს კი, სულიერი კულტურის ვაკანსიები უფრო გაუადვილდება.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 დეკემბერი.

საზღვარ-გარეთ.

ბუდაპეშტი. ავსტრო-უნგრეთის დელეგაციის მიღების დროს ერცჰერცოგმა ფრანც-ფერდინანდმა სიამოვნებით აღნიშნა საერთაშორისო განწყობილება. არსებულ კავშირზე და სახელმწიფოთა მეგობრულ განწყობილებაზე დამყარებული მონარქია—სთქვა ერცჰერცოგმა,—ყოველსავე ზომას მიიღებს მშვიდობიანობ ს განსამტკიცებლადაო. სამხედრო მინისტრი ახალ სესხს ჯარის გასაუმჯობესებლად თხოულობს, რათა ამ მხრივ სხვა სახელმწიფოებს არ ჩამოვრჩეთო.

ლონდონი. პოლიციის წინაშე წარსდგა სამი კაცი და ორი ქალი, რუსები. ისინი ხოუნსადიჩში მომხდარ მკვლელობის მონაწილენი ყოფილან. ამ საქმეს ერთის კვირის შემდეგ გაარჩევენ.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციაზ. მასსარიკი ადმინისტრაციასა და გარეშე საქმეთა სამინისტროს ბრალსა სდებს ფრიდიუნგოვის ყალბ საბუთების დამზადებაში და დელეგაციის ყურადღებას ვასიჩის საქმის განიხილვას აქცევს. ვასიჩიო—ამბობს მასსარიკი,—სიყალბის ჩამდენთა მონაწილედ იხსენიება, მას ექსტერიტოლიური თანაშემწენი ჰყავდა, მაგასადაკე ავსტრო-უნგრეთის მისიის მოხელენიო. ყალბი დეპეშა სასამართლოს შემოწმებით, სვენტოხოვსკის ხელით დაწერილი აღმოჩნდა. თავდაპირველად ერენტალი უარჰყოფდა, ავსტრო-უნგრეთის მისიას ვასიჩთან არავითარი კავშირი არა ჰქონიაო, შემდეგ კი „ფრანდენბლატტი“ ძალაუხებურად გამოტყდა,—ვასიჩი კანცელარიის მოხელეებს ცნობებს აწვდიდაო. სასამართლოში საქმის გარჩევის შემდეგ, კანცელარიის მოხელენი მისსიის წევრებად იქცნენ. „აღმოჩნდა, რომ მისსიის მდივანი სვენტოხოვსკი მიღებულ საბუთების პირს იღებდა. ამგვარად წარმოიშვა მისის ხელით დაწერილი ყალბი დეპეშა.

სვენტოხოვსკის უბრალო ქაღალდზე კი არ დაუწერია დეპეშა, არამედ სერბიის მეფის სადეპეშო ბლანკზე ვასიჩის ხელით დაწერილი, მეორე დეპეშაც ასეთსავე ბლანკზეა ნაწერი, სადაც ჩობრინსკი და სტახოვიჩია მოხსენებული. ორთავე დეპეშას მხოლოდ ოფიციალური შტემპელი და აკლია, ყველა დანარჩენი ნიშნები აღნიშნულია. სვენტოხოვსკიმ იცოდა, რომ ვასიჩის მიერ მიტანილი საბუთები ყალბი იყოვო—ამტკიცებს მასსარიკი. მასსარიკის აზრით, ერენტალი მის წინააღმდეგ მეტად მოუხეშავად და უპატიოსნო საშუალებით იბრძვის. ავსტრო-უნგრეთის გარეშე საქმეთა და სასახლის მინისტრს უფრო მეტი ჯენტლმენობა მოეთხოვებაო. მასსარიკი სხვა საქმეების გამომჟღავნებასაც აპირებს.

მასსარიკის შემდეგ კლოფაჩმა ილაპარაკა და აღნიშნა, რომ ვასიჩის გამტყუნება სახელმწიფოებრივ დანაშაულობათა სისტემის სრული დაგმობაა. კლოფაში პატიებას კი არა თავისს პარტიის წევრთა განთავისუფლებასს თხოულობს, რომელნიც ორი წელიწადია ციხეებში იტანჯებიან. ორატორი ერენტალისაგან და სახელმწიფოს პოლიციისაგან იმ საბუთებს მოითხოვს, რომლის ძალითაც პროგაში ანტიმილიტარულ საქმის გამო განაჩენი შეაყენესო. ტრეზვიჩ-პოვიჩშიჩმა განაცხადა: ერენტალმა იმედი არ უნდა იქონიოს, ვითომც მე სერბიელ-ხორვატელთა ერთად-ერთი წარმომადგენელი, დროებით ხარჯთა-აღრიცხვას ხმას მივცემ, იმ სიყალბეთა ჩადენის შემდეგ, რომელიც-მაც მთელი სერბი-ხორვატიის ხალხი კინაღამ უბედურებაში გაჰხვიაო.

ბუდაპეშტი. მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი დილის 7 ს. 40 წ. ჩამოვიდა და დელეგაცია მიიღო; სეფე სიტყვა წარმოსთქვა და ბოჰემიაში თავის ციხედარბაზისაკენ გაემართა.

ავსტრიის დელეგაცია. დროებით ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ერენტალმა გადაჭრით განაცხადა,—ფორგაჩს ვასიჩთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონიაო, ამის დამამტკიცებელი საბუთი ისაა, რომ მისსიის მდაბალი მოხელენი კონფიდენციურ ცნობებს ღებულობდნენ ვასიჩისაგან, რომელიც ძალად გადაეკიდათო. ვასიჩთან ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს, როდესაც გამოირკვა რომ მის მოტანილ ცნობებს არავითარი ფასი არა ჰქონდათ. ვასიჩმა ფული მოითხოვა, უარი მიიღო და შემდეგ გამომჟღავნებას მიჰყო ხელი, მაგრამ მისი ყოველგვარი მოთხოვნილება უარყოფილ იქმნა. ერთხანად ბელგრადში ავსტრო-უნგრეთის მისიას მუქარით აშინებდნენ, რაც ფორგაჩმა თავის დროზე სერბიის გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობა. ერენტალმა განაცხადა, ვასიჩის საქმე პხოლოდ გაზეთებში მოთავსებულ წერილებიდან შევიტყეო. მასსარიკი ამ საქმის გარჩევას ისე დაესწრო, როგორც რწმუნებული. ერენტალი დელეგაციებს ანდობს ამ საქმის დაფასებას და დასძენს,—ერთად ერთი დამმოწმებელი ფორგაჩის სიმართლისა ის კაცია, ვისაც თავის სამშობლოს საზარალოდ ყალბ საბუთების დამზადება დაუმტკიცა სასამართლომაო. მინისტრის აზრით საქმე ამით სრულიად გარკვეულია. (მოწონების ხმები ისმის).

ერენტალის შემდეგ ქრისტიანულ სოციალისტმა გესსმანმა იღაპარაკა. მას აკვირვებს ავსტრიის დელეგაციის წევრის—მასსარიკის საქციელი, რომელიც უცხოელებთან კავშირს იჭერს, რათა მონარქიის სახელის გამტეხი საბუთები ჩაიგდოს ხელში. ორატორის აზრით დელეგაციამ ასეთი საქციელი უნდა დაჭგმოს.

მასსარიკი ერენტალს უპასუხებს და აღნიშნავს: ერენტალმა მხოლოდ ისა სთქვა, რასაც თავისს გაზეთებში სწერდა სვენტოზოვსკის მიერ ჩადენილ სიყალბის გამომჟღავნების შემდეგ. ერენტალმა შას უცხო სახელმწიფოთა მთავრობის რწმუნებული უწოდა, თუმცა ეს სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც სვენტოხოვსკი სასამართლოში მხოლოდ ისე შეუშვეს, როგორც დაინტერესებული პირი, სერბიის კანონის თანახმად. მასსარიკი გესსმანს უპასუხებს: ბელგრადის საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან სერბია, ხორვატელთა სახელმწიფო ღალატს ადასტურებსო. მე კი არა მქონია ვასიჩთან ავსტრიის სამტროკავშირი, არამედ ერენტალს იგო—თავისს მოქალაქეთა წინააღმდეგ.

ჩეხიელი ურდშალი ჩეხიის დელეგაციის სახელით მასსარიკს ესაჩჩლება და ამტკიცებს, რომ მასსარიკი ავსტრო-უნგრეთის მოქალაქეთა სახელს იცავდა და არა უცხოელთაო. მომხსენებელი გრამბაიერი გესსმანს ემხრობა და მწუხარებით აღნიშნავს, მასსარიკი ვასიჩს ნდობით ეპყრობოდაო. მასსარიკი ამ განცხადებაზე გულის-წყრომას აცხადებს და ამტკიცებს, ვასიჩს თავის დღეში არა ვნდობივარო. ავსტრიის მისსიას დანაშაულობა ყალბის საბუთებითა და საკუთარის გამოტეხით დამტკიცდა.

კრება მეტად მღელვარე იყო. ხარჯთ-აღრიცხვაზე კამათი დასრულდა. დროებითი ხარჯთ-აღრიცხვა ორთავე დელეგაციამ მიიღო.

სოფია. საერო კრება გაიხსნა. კრებას დაესწრნენ ნამინისტრალნი პეტროვი, გენნადიევი, იავოვი, შიშმანოვი. წაკითხულ იქმნა წერილობითი განმარტება გუდევის და ვლაჩევის დაუსწრებლობის შესახებ. სიტყვა წარმოსთქვა შიშინოვმა, რომელიც მომხრეა უარ-ყოფილ იქმნას ბრალდება, რომელიც მოხელეებს შეეხება. პეტროვმა განაცხადა მინისტრს კონსტიტუცია არ დაურღვევიაო, მხოლოდ საერო კრების დაუკითხავად, ინულებული გახდა, ზოგიერთი გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა, რასაც 1903 წელს მთავრობას მცირედი ხარჯები მოჰყვა. ცნობები ჰქონდა, რომ იმ წლებში ოსმალეთთან ომი იყო მოსალოდნელი. ამიტომ მიუცილებელი საჭიროება იყო უზრუნველ-ეყო ქვეყანა. სხვათა შორის აცხადებს პეტროვი,—თუ ეს კონსტიტუციის დარღვევას მოასწავებდა, ის ხომ საერო კრების სესიაში დამტკიცდა; მაშასადამე ნამინისტრალი პასუხისგებისაგან თავისუფალია.

რუსეთი

პეტერბურგი. სათათბიროს ფინანსიურმა კომისიამ შეუცვლელად მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც ჭიდადებს: ჯარის კაცების გაყვანის ნაცვლად ფილიანდიამ უნდა ფულად გადაიხადოსო.

კიევი. შეიპყრეს ყაჩაღი ბეზპალ., რომელმაც თავის ბრბოსთან ერთად 20 მეტი შემზარავი მძარცველობა მოუხდენია. ჩერკასკის მაზრის სოფელ ვიაზოვკში რამდენიმე შეიარაღებული მღვდლის სახლს დაეცა. სახლი გაქურდეს, მრავალი ძვირფასი ნივთი და ფულად 200 მანეთი გაიტაცეს.

ლიბავა. საოლქო სასამართლოს დარბაზში სიტყვის გათავების შემდეგ გულის სიგანივრით გარდაცვალა ვექილი ზუბკოვსკი.

პეტერბურგი. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა, „რეჩის“ რედაქტორის განსაჩივრება, რომელსაც ცილის წამების გამო გარდაწყვეტილი ჰქონდა ორითვე ციხე და 100 მანეთი ჯარიმა.

რიგა. პეტერბურგის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ რიგის კომიტეტის ს. დ. 12 წევრის საქმე გაარჩია. 3 მიესაჯა ციხე 1—2 წლამდე. 8—გარდასახლება და 1 გაამართლა.

ჰელსინგფორსი. მეხელინის ახალი წიგნი რუსულადაც გამოვიდა, რომელიც 1910 წ. 17 ოქტომბრის კანონს ეხება. ავტორი ამტკიცებს, ეს კანონი ცხოვრებაში ვერ განხორციელდებაო. „ნია-ჰრესენის“ სიტყვით, ამ საკითხზე ჯერ ასეთი დასაბუთებული თხზულება არ დაწერილა, იგი ისეთ ჯიუტ საკრებულოსაც დაარწმუნებს, როგორიც სათათბირო არისო.

ვიტებსკი. არქიეპისკოპოზი (ვიტებსკის მახლობლად) ცეცხლი მოედო. ყველა შენობები დაიწვა, არქიეპისკოპოზის ბინა და ეკლესია ძლივს გადაარჩინეს. მოიჯარადრეებს ბევრი შინაური საქონელი დაეღუპათ. დიდძალი ხორბალი დაიწვა. ზარალი 2000 მან. მეტია.

პეტერბურგი. პეტერბურგის მაზრაში ლიუტერანთა ეკლესიაში პასტორმა მრევლი აზიარა. 32 ნაზიარებმა თავი ცუდად იგრძნეს. სამი გარდაიცვალა. ეკლესიის მნათეს ბარძიმში ღვინის მაგიერ, შეცდომით, გოგირდის სიმჟავე ჩაესხა.

ჰელსინგფორსი. გენერალ-გუბერნატორმა სამასწავლებლო უწყების სამმართველოს შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა: 6 დეკემბერს, ვიბორგის შვეიცის ლიცეის მოსწავლის თავხედ საქციელის გამო ფიცელი გამოძიება მოახდინეთო.

ხარკოვი. საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა: შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, სამხრეთ-რუსეთის გადამსახლებელ ორგანიზაციის საკანონმდებლო წესდების დამტკიცების თაობაზე.

ხვალინდელ **„სახალხო გაზეთის“ სურათებიან დამატების** შინაარსი: იუბილიარს კოტე მესხს ეძღვნება. მოთავსებულია ცხრა სურათი კოტე მესხისა სხვა და სხვა როლებში, იქვე იქმნება ლექსები: ა. შანშიაშვილისა და ნ. ჩხიკვაძისა და კოტე მესხის მოკლე ბიოგრაფიული ცნობანი. კარიკატურები: 1) ცოლ-ქმრის დამოკიდებულება, 2) თანამედროვე მოსწავლე ახალგაზრდობა ქეიფის შემდეგ. კვირის „სახალხო გაზეთის“ ნომერში დაიბეჭდება გაზეთი „ოხუნჯის“ სათაურით.

ახალი ამბები

ფ ფ ი ლ ი ს ი

ქართულ რუსული ლექსიკონი. 16 დეკემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ თავად-აზნაურობის დეპუტატია საკრებულოს დარბაზში ქართველის მცოდნე პირნი მოიწვია. გადასაწყვეტი იყო: ჩუბინაშვილის ლექსიკონი გამოიცეს, თუ სხვა შეადგინონ ახალის გეგმით. კრებამ სასურველად იცნო ვრცელ ქართულ-რუსულ-ფრანგულის ლექსიკონის გამოცემა, მაგრამ რადგან ამას დიდი ხარჯი და შრომა დასჭირდება, ამიტომ ამ ჟამად თავი დაანება და იმ აზრს დაადგა, რომ შესწორებულ და შევსებულ იქმნეს ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი და ისე დიბეჭდოს. ამ კითხვას ამ დღეებში საბოლოოდ გადასწყვეტავს წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობა.

ტფ. ქალაქის საბჭო. 16 დეკემბერს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით. პირველად თავჯდომარის წინადადებით ხმოსნებმა—ფეხზე, ადგომით პატივი სცეს ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფ, ამ დღეებში გარდაცვლილ ი. ი. მალინინის ხსოვნას. შემდეგ კრებამ მოისმინა ცნობა: მუხრანის ხიდზე მგზავრებს უკვე მიეცათ სიარულის ნებაო. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ შავის ჭირის წინააღმდეგ წინასწარ ზომების მიღების შესახებ. დასასრული კრებამ გამგეობის მოხსენება დაამტკიცა ის სახით, როგორადაც ჩვენს გაზეთში უკვე მოხსენებული გვქონდა: გადასდო 6.000 მანეთი შავ-ჭირთან საბრძოლველად და დაადგინა თითოეულ ვირთაგვის მოკვლის პრემიად 5 კაპ. მისცენ. დანარჩენი დრო კრებამ წვრილმან საკითხების განხილვას მოანდომა.

კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში. დღეს ნამესტნიკის საბჭოს კრება მოჰხდება. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს: მიეცეს თუ არა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, საერობო სათადარიგო თანხიდან, 2.000 მანეთი სტატისტიკურ ცნობათა აღსაშუშავებლად და დასაბეჭდად.

სამღვდელოების კრება. 15 დეკემბერს, სამღვდელოებამ მსჯელობა იქონია დრამის თაობაზე. სასურველად აღიარა, რომ დრამა გაუქმდეს და მის მაგივრად მღვდლებს სახელმწიფო ხაზინიდან მიეცეთ ფული. დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ამ საგნის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ფული ეძლიოთ საერობო თანხიდან და თითო კომლს წელიწადში 2 მანეთი შეეწიროს.

სწავლის დასრულება. 7 დეკემბერს გერმანიის ქალაქ ფრანკენბერგის სამთა-მადნო საინჟინერო აკადემია გაათავა ჩვენმა თანამემამულემ დავით ვასილის ძე გაბაშვილმა. აკადემიაში ამ ჟამად ერთი ქართველი მოსწავლე კიდევ არის: ბ-ნი ციცი შვილი.

თავშესაქცევი ლოტერეა. როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. საჰიორთა ბატალიონთან დაარსდა ეგრედ წოდებული თავშესაქცევი (потѣшный) პოლკი, პოლკში ამ ჟამად ჩაწერილია 6000 ყმაწვილი, დაწყებული 5-დან 19 წლამდე. პოლკი დაყოფილია 4 როტად. თითო როტას წინამძღოვრობს ერთ ოფიცერი და რამდენიმე პოდპრ

ნიკ. ბარათაშვილის ხსოვნას

მოვალ ხოლმე შენ საფლავზე,
გაგიმართავ ტკბილ საუბარს;
გულს შეგიმკობ ია-ვარდით,
ზე ვაწვიმებ ცრემლს-ნაგუბარს;
არაოდეს დაგივიწყებ—
ვით სულის ღმერთს და მეგობარს!..
მკითხავ: „სევდა კაეშანი
ნეტავ კვლავ თუ გტანჯავს
ღვთიანს;
მზეს-მზის შუქთა შემაკრთობელს,
მისვე სხივებსა თმიანს;
გულსა-გულის წამლებელსა
და თვალთ წყაროს-ალმასიანს“?!
შენც მიაბრე რაცა გტანჯავს,
დამანახვე სევდის წყალული;
მითხარ: ნუ თუ კვლავ გაჩნია
გულს იარა დაბასრული
და შენს ოხვრა-კაეშანსა
აღარა აქვს დასასრული?!
მითხარი და შეუპოვრად
ლამის მგოსნად გადვიქცევი;
უკანასკნელ დავიკვნესებ—
ვით გული სულს განაქცევი
და შენს ობოლ სამარეზე
დამწყელ ცრემლად დავიფრქვევი!..

ბ. ახოსბარელი.

ქართული გიგლია

ნება დამრთეთ, ბ-ნო რედაქტორო, თქვენის გაზეთის შემწეობით გავაცნო საზოგადოებას ქართ. ბიბლიის ახლად გამომზევებული ვარიანტები ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, სახეები. ამ ვარიანტების აღმოჩენას უადრესი მნიშვნელობა აქვს არა თუ მარტო იმ მხრივ, თუ სადაც, როგორ და რანაირად შემოდიოდა და მყარდებოდა ჩვენში საქრისტიანო მწერლობა, არამედ იმ მხრივაც, თუ როდის და ვისის მოღვაწეობით შემუშავდა და გაბრწყინდა ის დიდებული მეტყველება, რომელიც იმთავითვე საღმრთო საზოგადოებად შეიქმნა ყველა ქართველთათვის, ჯანეთიდგან მოკიდებული საინგილომდე, მესხეთიდან მიყოლებული იალბუზის ძირს მცხოვრებ სვანებამდე. დღეს გაგაცნობთ წიგნს „ესთერისი“-ს და შემდეგ სხვებსაც.

—

სპარსთა და უეიკთა მეფე ასვიროსი (არტაქსერქსი, არტაშენი), ინდოეთიდან ეთიოპიამდე ჰფლობს 127 სამთავროს. მოუწვევია მთავრები, მეფეები, ერისთავები, 180 დღის განმავლობაში მათთვის უჩვენებია თავის კარის ბრწყინვალება და სიმდიდრე, ახლა გაუმართავს მათთვის პურობა, ზეიმი სატახტო ქალაქ შუშანშია (სუზას). ამავე ხანს საქალო მეიარეს დიდებულების ცოლებს მასპინძლობს დედოფალი ვასტიანე (ვასტინე, უასტინე). მეფეს ჰსურს თავისის მეუღლის სილამაზე აჩვენოს თავისს სტუმრებს. იწვევს. არ მოდის. მეფის გულისწყრომას საზღვარი არა აქვს: როგორ მეურჩაო. ბრძანებ ამუქეოზ მოახსენებს ხელმწიფეს: ვასტინეს ურჩობა არა თუ შენი, ჩვენი შეურაცხყოფა არის; ჩვენი ცოლებიც მას მიჰბაძავენ და აღარ დაგვეურჩიებიან. მახლობელია რჩევით მეფე მთელის სახელმწიფოს ლამაზ ქალებს იბარებს და ვასტინეს მაგიერ დედოფლად ირჩევს მშვენიერ ესთერს. ეს არის ურია, მარდოქეს (მარდოქეოზის) ბიძაშვილი. აქაურ ურიების მშობლები მეფე იექონიასთან ერთად ტყვედ წამოესხა ბაბილონის ხელმწიფეს ნაბუქოდონოსორისაგან. მარდოქეს მეფის კარზე დიდი ადგილი ეჭირა. მას ყურადღება დაემსახურებინა მეფის წინააღმდეგ შეთქმულების გამომჟღავნებით. მისი დაუძინებელი მეტოქე და მტერი იყო ამანი, მეფის შემდეგ უპირველესი პირი სახელმწიფოში. სხვები რომ ამანის წინაშე ძრწოდნენ, მარდოქე ფეხზედაც არ წამოუდგებოდა ხოლმე. მარდოქეზე გამოჯავრებულ ამანმა მოინდომა დაეღუპა მთელი მისი ნათესაობა, ყველა ურიები. დაითანხმა მეფე და გასცა ბრძანება, რომ მთელს სახელმწიფოში ყველგან გაწყვიტონ ებრაელნი 13-ს. ადარის თვეს. თვით მარდოქეოს ჩამოსახრჩობად ამანმა აღმართმა სახრჩობელა. წინა დღით ესთერმა მიიწვია სადილად მეფე და ამანი. ხელმწიფე დიდს სიხარულში იყო, რადგან დედოფალი გულ-დიად დაუხვდა. მეფე ეფიცებოდა, ნახევარი სამეფოც რომ მთხოვო, გიბოძებო. დედოფალმა მოახსენა, ნახევარი სამეფო რად მინდა, როდესაც ჩემი გვარის ხალხს გაწყვეტას უპირებენო.—ვინ? იკითხა მეფემ. აი სწორედ თქვენი ამანია მოთავე ჩვენის უბედურებისა. მეფე განრისხდა და ბაღში შეიარა, რომ დაბრუნდა, ამანი დედოფლის წინ დაჩოქილი ნახა. იგი ეკედრებოდა ესთერს მაპატიეო და მეფეს კი მოეჩვენა, შეურაცხყოფსო. უარესად განძვინდა და ბრძანა ჩამოეკონწიალებინათ ამანი იმ სახჩობელაზე, რომელიც მას აღემართა მარდოქესთვის. ამანი დაიდუპა. ესთერის თხოვნით, მეფემ გასცა ბრძანება ებრაელთ არავინ ხელი არ ახლოს, არა რა დაუშაოსო. ურიების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. უფრო ხარობდნენ მარდოქე და ესთერი. ამ განთავისუფლების დღის მოსაგონებლად დააწესეს დღესასწაული „პურიმი“.

ეს არის მოკლე შინაარსი ბიბლიურ წიგნისა ესთერისი.

ახლა შევადარეთ:

ა) სახელები:

ასვირეოსი=არტაშენი=არტაქსერქსი, ბერძნ. ასსუერეს=არტაქსერქსი, სომხ. არტაშეს.

ვასტინე = ვასტიანე = უასტინე, (2,4) ბერძნ. ასტინ, სომხ. ასტანე.

მარდოქე=მარდუქე = მარდოქეოზ, ბერძნ. მარდოხეოს (მაროდოხეოს), სომხ. მურთქე.

გოგე (ყველა ქართ. ვარიანტში). ბერძნ. იგაი (Hgai), სლავ. გაჲ, რუს. გეგაჲ, სომხ. ვოვგე (2,8).

შუშან (№ 471-ში სუსე), ბერძნ. სუსა, რუს. სუზა, სომხ. სის, სისან (2,8).

ფარსან—ფარასან, სლავ. (ბერძნ. ალექსანდრიული) ფარსანა, რუს. და ბერძნ. (ებრ.) ფარსანდათა, სომხ. ფორაკნ.

ნესტაინ, სლ. ნესტანნა (რუს. არ არის), სომხ. ნესტენ.

დელფონ, სლავ. დელფონა (ალექსან.) რუს დალფონა, სომხ. დოვფონ.

ფაგიფარნანფარ (№ 570, № 646)—ფაგაფარ (№ 51), სლავ. ფასგანა და ფარდაფა, რუს. ასფათა და ფორათა, სომხ. ფაზგა და ფარგათა.

ქართ. (№ 570, № 646): ათაბარსა, საბაქა, მარმასემ, რუფეონ, არსეონ, ზაბუთითან

ქართ. (№ 51): ნინაფარ, ათაბარას, საბაქარ, მარმასემ, რუფეონ, არსეონ ზაბუფუთან

სლავ.: ბარელა, სარბაკანა, მარმასიმა, რუფეო, არსეა, ზაბუთეთამა

რუს. ადალია, არიდათა, პარმაშთუ, არისაია, არიდაია, ვაიეზათა.

სომხ.: ბარეა, სარაბაქა, მარმასის, არუფესნ, არსესნ, არბუთეთან.

ბ. ტექსტი:

ქართ. იავარ ყვეს (9,10), აღიჭრეს (№ 471).

სლავ. разграбиша

რუს. на грабежъ не простерли руки своей.

სომხ. ჰაფშტაკეცინ (წარიტაცეს).

9,16:

ქართ. (№ 570, № 646) მოსრეს შვიდი ბევრი კაცი და ასი (70,100)

(№ 471) წარწყმიდეს შვიდ ბევრ და ას კაც (70,100)

(№ 51) მოსრნეს შვიდი ათასი კაცი და ასი (7,100)

ბეჭდური მოსწყვიდეს ათხუთმეტი ათასი (15,000)

სლავ.: Пятьнадесять тысячъ (50,000)

რუს.: Семьдесять пять тысячъ (75,000).

ბერძ.: ევდომიკონტა პენტე ხილიადას (75,000)

სომხ.: ჰინგ ჰაზარ ვოკი (7,000 სული).

ქართ. ნისანი როლ არს ვარდობისა (8, 9)

სლავ. нисанъ

ბერძ. siwan

რუს. сиванъ

ებრ. სივან

ქართ. ბეჭდ. ნისანი

სომხ. „ნისან ვორ ე არეგ“ (ნისან რლ არს მზე).

ქართ. (№ 570) გლახაკთაგან ვიდრე დიდამდე (1,20)

№ 51: გლახაკთაგან ვიდრე მდიდართამდე

№ 446: გლახკთგან ვიდრე მდიდრამდეო

№ 471: გლახთგან ვიდრე მდიდრამდე

ბეჭდ. დიდთაგან ვიდრე მცირემდე

ბერძნ. აპო მეგალუ ეოს მიკრ (ვით ქართ ბეჭდ.)

სლავ. отъ богата даже до убога

რუს. отъ велика даже до мала

სომ.: ჰაღქატაც მინჩევი მეწამ

ქართ. მიეცემოდის მაგან სა[illegible] დელი, რათა განიბანნენ და სხ[illegible] საღუაწოჲ (2, 3).

სლ.: Да дадутся масти и про[illegible] потребы.

რუს.: Пусть бы выдавали и[illegible] притиранья (и проч., что нужно)

ქართ. სცხებედ მუროვანსა ზე[illegible]სა (2,12).

ბერძ.: სმირნინონ ელეონ.

სლავ.: Намазующеся смирновы[illegible] елеемъ.

რუს. (ებრ.): мирровымъ масло[illegible]

სომხ.: „ოწონწინ იუღუქ ან[illegible] შუქ“.

ბ. მორდოქეს ხიზმარი ესთერის წ[illegible]ნის დასაწყისში არის:

№-ებში 570, 646, 471 (978 [illegible] გადან.) და ქართ. ბეჭდურში,

პორჩიკი და უნტერ-ოფიცერი. ბოლ. კში ყველაზე მეტი რუსია, შემდეგ სომხები, ქართველები და სხვა. ებრაელი ერთია.

ჩვენის დროის მათუსალი. როგორც გადმოგვცეს, თელავის მაზრის სოფელს ურიათ-უბანში ამ ჟამად სცხოვრობს **167** წლის დედაბერი ნინო პეტრეს ასული თუშურაშვილისა. ჩამომავლობით ჭუკალაშვილის ქალია. მას კარგად ახსოვს კახეთში პირველად რუსების შემოსვლა. ამ დროს მას ორი გათხოვილი ქალი ჰყოლია. სულ ჰყოლია 10 შვილი, 9 ქალი და ერთი ვაჟი. ამათგან ამ ჟამად ცოცხალია მხოლოდ ერთი გათხოვილი ქალი. თავის სიცოცხლეში დედაბერს დაუმარხავს 9 შვილი და 42 მათი შვილები და შვილის შვილები. ამ ორის თვის წინად მოხუცი ქალი კიდევ შეესწრო თავის შვილისშვილის შვილის ქორწილს და იმდენად გამხიარულდა, რომ იცეკვა კიდეც. მეტმა სიხარულმა ისე ძლიერად იმოქმედა დაუძლურებულ მოხუცზე, რომ რამდენსამე დღის განმავლობაში თავის ცონს არ იყო. ამ ჟამად თვალთ ცუდად უჭრის. დადის ჯოხის შემწეობით.

ქათალიკოსის დაკრძალვა. საქართველოს ექსარხოსმა ანოკენტიმ საქართველოს საეკსარხოსოს სამღვდელოების წარმომადგენლებად ქათალიკოსის დაკრძალვაზე დასასწრებლად დანიშნა: ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი, ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი პიმენი და არქიმანდრიტი ანტონი. ეს ამბავი ექსარხოსმა დეპეშით აცნობა ეპისკოპოსს გრიგოლს. გუშინ ხსენებულნი პირნი უკვე გაემგზავრნენ ეჩმიაძინს.

სტატისტიკური ცნობები. ტფ. გუბერნატორმა მაზრის უფროსებს მიმართა წერილობითი, 1911 წლის ნ იანვრამდე, დაწვრილებითი ცნობები წარმომიდგინეთ 1910 წელს თქვენ მაზრაში მომხდარ მკვლელობათა, გაძარცვათა, ქურდობათა და სხვა ბოროტმოქმედებათა შესახებაო.

წითელა. როგორც გავიგეთ, ავჭალაში წითელა მძვინვარებს. საჭიროა სამკურნალო დახმარება.

წესდების დამტკიცება ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ტფ. სამაგშვო კლუბის საზოგადოების წესდება

ყასბების თავ-გასულობა. ვერა და ვერ იქნა ყასბების თავგასულობის აღაგვა და მათი სიხარბის შეზღუდვა. ეს ვაებატონები ისე არიან წათამამებულნი, რომ მათთვის არც ნიხრი არსებობს და არც გუბერნატორის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება. მათ როგორც მოეპრიანებათ, ისე ჭიდიან ხორცს, ხოლო დაბეჭდილი ნიხრი ფორმის გულისათვის უკიდიათ კედელზე. ნიხრით გირკანქა ძროხის ხორცი 11 კაპ. ღირს, ესენი კი 13 კაპეიკად ჰყიდიან და იმასაც უვარგისს იძლევიან. უზრდელი მოპყრობა და არა სასიამოვნო სიტყვები კიდევ სხვაა. საჭიროა ამ გარემოებას სასტიკი ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს და დაიხსნან ღარიბი მცხოვრებნი მეტი კაპეიკების გადახდისაგან.

გაზეთის თანამშრომლის განთავისუფლება. 15 დეკემბერს ციხიდან გაანთავისუფლეს გაზეთ „ახალი აზრის“-ს რედაქციაში დაპატიმრებული ამავ გაზეთის თანამშრომელი ალ. დევდარიანი, რომელსაც დაეკალა 7 დღის განმავლობაში დასტოვოს ტფილისი, და რუსეთის იმ ადგილს იცხოვროს, სადაც ამ ჟამად სამხედრო და გაძლიერებული დაცვის წესები არ არსებობს.

შუამდგომლობა. ამიერკავკასიის გერმანელთა ახალშენთა ობერ-პასტორმა ტფ. გუბერნიტორს სთხოვა, ნება დართოს ეკატერინენფელდში დააარსოს საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექმნება ახალგაზრდობას ლიტერატურა შეასწავლოს და ხნეობრივი დარიგებანი მისცეს.

საეკვო პირთა შენახისათვის ქუთაისის გუბერნატორის დადგენილებით, საეკლესიერების შენახისათვის სამსამი თვით დაპატიმრება მიესაჯა: შორაპნის მაზრის მცხოვრებს პავლე ქურთანიძეს, ოზურგეთის მაზრისას—ანდრია ჭრაბაიძეს, თედორე, სიხარულიძეს და ალ. ჯიბლაძეს. ხოლო შორაპნის მაზრის მცხოვრებს ილია ნერგიძეს სამი თვით დაპატიმრება მიესაჯა თავისი სოფლელების შესახებ ცრუ ხმების გავრცელებისათვის.

შემოწირულობა. დუშიკა გიორგის ძემ ფალავანდიშვილმა და მღვდელმა ნესტორ ბაკურაძემ უძღვნეს საისტორიო და საეკლესიოგრაფიო საზოგადოებას რამდენიმე ძველი, მიწის თხრის დროს ნაპოვნი, თიხის ჭურჭელი. ამათში შესანიშნავია დ. ფალავანდიშვილის შემოწირული ერთი შვენიერი სურა ძველი ბერძნული ხელოვნება.

ლექცია. დღეს ბირჟის დარბაზში ი. აბულაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „მოკლე მიმოხილვა ძველის ქართულ ლიტერატურისა“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ტფ. დედათა ეპარქიალური სასწავლებელი. სამღვდელოების 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია 42.425 მან. 20 კაპ. დედათა ეპარქიალურ სასწავლებლების შესანახად.

მართლმადიდებელთა სარწმუნოების მიღება. ტფილისში მცხოვრები ებრაელი ქალი ხავა იოხვედ რატნერი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, ნება დართოს მართლმადიდებელთა სარწმუნოება მიიღოს.

მოსწავლეთა დათხოვნა. სახალხო სკოლების დირექტორი ტფ. ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობს, ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მოსწავლენი 22 დეკემბერს დაითხოვოს.

ლოთი მამასახლისი. ალბულახის მამასახლისი ილარიონ ზაპოოკაკი მოძრიგებელ შუამავლის განკარგულებით 7 დღით იქმნა დაპატიმრებული, ერთის ევრის განმოვლობაში გამუდმებულ ლოთობისათვის.

15 დეკემბერს ტფილისში შეეხვერეს ბორჩალოს მაზრის მცხოვრები მუშამ კარამიანცი, რომელიც გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

16 დეკემბერს ბოდიციამ ტფილისში შეიპყრო 27 უპასპორტო.

საგღვდელოეგის საყურადღებოდ

ხალხი ავაგე ნიხაფ,
არ არის ნაფფტიხაფ
მეედან და გამოდიან
ანგელოზნი ღვთისაფ.
(ბალნური გამოცანა ხგა და ფუტკარი).

„ბუში ბევრი ბზუისო,
ფუტკართან ყველა ტყუისო“
(ბალნური ანდაზა).

„მე ხულ ხნგა ვარ,
ხულ ხნგა მუშა
და ხნგა გვარად
მოდვაწეო
ზეციხ მუშახ მეძახიან,
არ ვარ მარტო
ხამიწეფ!“

ეკეკი.

ჩვენი ხალხი ფუტკარს უხსოვარი დროიდან აფასებდა და პატივს სცემდა. ეს მტკიცდება სხვათა შორის მაზე გამოთქმული გამოცანით, სადაც ფუტკარი „ღვთის ანგელოზად“ არის აღიარებული.

ამას უნდა დავსძინოთ ძველი თქმულება (ლეგენდა), სადაც ხალხის ფანტაზიას სწამს, რომ ითბ ქრავალწამებულს რომ მატლები ეხვევნენ, ისინი გარდაიქცნენ ფუტკრად და მისთვის

რედვე სლავიანურსა და სომხურში; რუსულში (ებრ.) შემოხაზულია ბრჭყალებით, არ არის ქართ. **№ 51** და ბერძნ. ტიშენდორფისეულში.

№ 570 და № 646 ში მორდოეს სიზმრის ბოლოს შენიშნულია ტექსტშივე წითლით: „რომელსამე წიგნსა ამიერიდან არის თავი“, და მართლაც აქედან იწყება პირველი თავი სლავიანურსა და ბევრ სხვებში.

1-ლი თავის ბოლო (მუხ. 22):

№ 570 და 646: ეგრეთ ქმნა ვითარცა იგი იტყოდა ამუქეოზ და წარავლინა ყოველთა სამეფოთა (**№ 570**—საზღვართა, **№ 51**—სოფელთა) სოფლად სოფლად სიტყვისა ებრ მათისა (**№ 51**—სოფლითი სოფლად სიტყვისაებრ მისისა), რათა იყოს შიში სახელთა მათ შინა მთათა მათ ზედა. და იყო ესე წერილ წიგნსა მას, რომელი მიუძღუანა: მეფე დიდი ასვიროს მთავართა და კელმწიფეთა, რომელნი ხართ ქუეშე სამეფოსა ჩემსა ასოცდა ოუიდთა ნათესავთა ინდოეთითგან ვიდრე ეთიოპიადმდე მკუიდრთა; ამას იტყუის მეფე: ამსთავრობდინ (**№ 570**—ჰთავრობდინ, **№ 51**—ჰმსთავრობდინ) ცოლსა თუისსა და სახლსა თუისსა ყოველი მამაკაცი.

იგივე ბერძნ. ტიშენდ. და რუსულში (ებრ.): „**И сдѣлалъ царь по слову Мемухана** (ბერძნ. მემუკან). **И послалъ во всѣ области царя письма, писанныя въ каждую область письменами ея и къ каждому народу на языкѣ его, чтобы всякій мужъ былъ господиномъ въ домѣ своемъ, и чтобъ это было объявлено каждому на природномъ языкѣ его**“.

ქართ. ბეჭდ., სლავიან. და სომხურში მხოლოდ ეს არის: „და ქმნა მეფემან, ვითარცა ჰრქუა მას მუხემ (სლავ.—**Мухей**, სომხურ.—მურდქეს), და წარავლინნა მეფემან წიგნნი ყოველთა შორის სამეფოსა კერძოთაებრ-ენათაებრ მათთა, რათა იყოს შიში მათი საყოფელთა შინა მათთა“.

მე-8 თავის ბოლო:

№ 570 და № 646.: ეშინოდა ებრაელთათუის; **№ 51:** ეშინოდათ ჰებრაელთაგან. რუს-ში: **напалъ на нихъ страхъ предъ Іудеями**“. სლავ-ში: **страха ради іудейскаго.** ასე თავდება სომხურშიაც. ათონური კი (**№ 471**) ამას უმატებს: „და მიერითგანნი მთავარნი და კელმწიფენი კაანნი და სეფეწულნი და ყოველნი მწიგნობარნი პატივსცემდეს ურიათა“.

ეს ათონური „ესთერი“ ქართული სხვა ვარიანტებთანა შედარებით მდაბიური, ადვილ გასაგები მოთხრობაა, ზოგან გაგრცელებული და ხშირად კი შემოკლებული გადმოღება. იგი, როგორც ვთქვით გადაწერილია 278 წელს, და არის პირწმინდათ ქართ. გვდგატა შეად კიდევ:

№ 570 და 646: ყო მეფემან სუმა... შუშს შინა ქალაქსა მცირითგან დიდამდე და იყო რეცილ ზეზითა და ცისხეულითა და მეწამულითა და იაკინთითა ჭრელებულითა ყუავილითა თითო ფერითა **და** კარვები ალმართებულ საბლებითა ბისონისათა ძოწეულისათა, ტორანოსები ვეცხლისა **და** სუეტებითა ბრინჯისათა და ოქრო ლესილითა, ტახტები ოქროსა და ვეცხლისა ანთრაკ ფენილითა ზედა ზმარაგდონის ქვათა და მშლეულებისა და კაპოეტის (კაპოვეტის) ქვითა და საგებელი თითო ფერად ჭრელებულად ყუავილოსნად, გარემო ვარდი მოფენილ (**№ 51**-ში იგივეა ორიოდე სიტყვის გამოშვებითა და შეცვლით)

№ 471 (ათონ.): „სუსეს ქალაქსა შინა დიდთაგან მცირედმდე სუმასა მას ზედა... იქცევისა ზეზი და ჭიკნაუტი ძოწეული მეწამული ქსოვითვე ყუავილოვანი და გამოქსოვილი და კრავი (კარავი!) ალმართა, რომლისა საბლად იყვნეს ძოწეული და ზეზი და ქობინად ბისა იყო ვეცხლი და სვეტები ლესული ოქროთა და ცხედარი ოქროისა ანთრაკითა და სმასაგდნოთა მოქმნული“ (დანარჩენი არ არის).

მეტის მეტად გამდაბიურებულია მეშვიდე თავის ტექსტი (471-ში), საცა შემოღებულია: ოხჟინი, მახვეიშნე, გეწიწებინ (თ. 4) და სხ.

არ უნდა გვიკვირდეს, რომ ქართული ტექსტები ხშირად არ ეტოლება ბერძნულს, ებრაულს, სომხურს, სლავიანურს. ძველად იყო კიდევ ბევრი სხვა ვარიანტებიც, მაგ. სამარიტანული, სირიული, მოსოტრეული და სხ. ყველა ტექსტებს რომ შეუდარებთ ბიბლიის ყველა არსებულ სახეებს, მაშინ გამოჩნდება, თუ რა მეტი წარუდგან მომდინარეობს ჩვენი თარგმანი.

ბ. ჯანაშვილი.

საგზაო ფულეგი

„ნოვოე ვრემია“-ს ფეტერბურგიდან ტელეგრამა ეუწყებოდა: საქართველოს ბირველ დაწყებით სკოლებში სწავლა 1881 წელს გამოცემულ სამოსწავლო გეგმის მიხედვით სწარმოებსო. ამაში სახედმწიფო სათათბიროსა დარწმუნებული.

ცხოვრების სინამდვილე კი სხვას გვიჩვენებს. ჯერ-ჯერობით ძველ-ბერძნული ენა ბევრ ადგილებში. მაგალითად-სუდაკოვების წყალობით ამ ჟამად დასაწყებ-საქართველოს ბირველ-დაწყებით სკოლებიდან თითქმის კანდიდატია 81 წლის სამოსწავლო გეგმა. ასეთ უკუდმართობას ეგვიდა ქართველი გულგრილად უყურებს. არავინ არა სცდილობს მის ძირიან-ადმოფხვრას და ბავშვთა ტანჯვის დამახინჯებისაგან დახსნას. ჩვენ საზოგადოთ ეგრეთ ეგირიდი ბევრი ვიცით. ქართულ ენას მეორე-ენას ეუწყვეთ ძალიდან-ტაბიდ-ტაბიდის სიტყვებით. ბრაქტიკულ ნაბიჯს ქართულ ენის დაცვის საქმეში კი ვერ ვიჩენთ. მაშ რათა ეხსნება ის მოდენა, რომ კავკასიის ნამესტნიკისაგან სავალდებულოდ გამხდარს უფლებას ფეხ-ქვეშა სთელავენ.

წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც მაგნიკოვ-სუდაკოვები ასე მოქმედებენ და ჩვენ კი დღესაც არ ვიცით, თუ რომელი კანონის ძალით მოქმედებენ ისინი ასე. არ ვიცით, გაუქმებულია 81 წლის სამოსწავლო გეგმა თუ არა.

სირცხვილი სოფლის მასწავლებლებს, რომ დღეანდელ უკუდმართ ბირობების წინაშე ქედი მოიხარეს და შეიგუონ ისეთი სულ-შემხუთავი ბირობები, სადაც მაზარდ თაობის აზრადგენა იხშობა. ასეთ უკუდმართობაზე ბირველი ბროტესტი მასწავლებელთა შეერთებულ ხმას უნდა გაენცხადებინა. ბირველად მათ უნდა დაეგმოთ ანტი-ბედაგოგიური მოქმედება მაგნიკოვ სუდაკოვებისა. მართალია, ამდენ დანარ მასწავლებელთა შორის ორიოდე გამოერია, რომელმაც გამოიჩინეს ადამიანური გულმტკივნეობა და მაგნიკოვ-სუდაკოვებს შესაფერისი ბასკვნა მიუცეს, მაგრამ საერთოდ, ეს ხმა საკრთოდ მასწავლებლების თანაგრძნობას მოკლებული, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ეს ჩემი წერილი გამოიწვია ბოდა ორში მომხდარმა ინციდენტმა. როგორც „სახალხო გაზეთი“-ს კორესპონდენტი გვაუწყებს (იხ. „სახ. გაზ.“ № 175), ამდენად გათამამებულა სუდაკოვი, რომ მასწავლებლებს სამსახურიდან დათხოვნითაც კი დაემუქრებია. საგანგებო ამას ეურადღებას მიექცევ და სოფლის მასწავლებლებმაც ამ ცნობილ ნამესტნიკს ასეთი უნუგეშო მდგომარეობა.

ეგრეთ არ იქნება, ქართველი დეპუტატებიც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან აჩენებენ ეგვიდს კავკასიის სამოსწავლო მთავრობის ასეთ ორგზოფეულ მოქმედებას. ამ უკუდმართობის ადმოსაფხვრელად დროით უნდა ეურადღების მიქცევ. **აქილესი.**

საკუთრეგის უფლეგა

(სტრინდბერგიდან)

მშვენიერი თხილის ბუჩქი განმარტოებით იდგა ერთ ჭალის პირას. თხილები უკვე დაკროლილიყვნენ, როდესაც ერთ ლამაზ აგვისტოს დღეს ციყვი აკოცდა მასზე.

— ეს ბუჩქი ჩემია!—„ჩაილაპარაკა მან თავისთვის და მეორე ტოტზედ გადახტა, რომ თხილით პირი გაეტკბანურებინა.

— შენ ეი, ქურდ-ბაკაცავ, დაიკარგე აქედან.“—საიდანღაც მოესმა წრიპინა ხმა.

— ვინ არის?—შეეკითხა ციყვი და თან აქეთ-იქით ცქერა დაიწყო. ბოლოს ბუჩქის ძირას დაინახა თაგუნა.

— შენ აქ საქმე არა გაქვს!—წაბძანდი იქ, საიდანაც მოსულხარ და არ გაბედო ჩემი თხილის ჭამა, წრიპინებდა თაგუნა.

— ჩემი თხილი,—ჩემი თხილი! — გამოაჯავრა ციყვმა და გემრიელ საჭმელს არხეინად მიჰყო პირი.“

— არ გაბედო მეთქი, შე ქურდო, შენა!.. გესმის!?

— ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, რა უფლებით იჩემებთ თქვენ ამ თხილის ბუჩქს?

— რა უფლებით? პირველობის უფლებით!

— კარგი, ქალბატონო, ... კიდევ ამ ბუჩქს ცნობილის უფლებით ძალით ვიჩემებ, ძალა ყოველივე უფლებაზე ღონიერია. მე თქვენზე ღონიერი ვარ და ამიტომაც ყოველივე უპირატესობა ჩემს მხარეზეა, გიგეთ?

— გამაგებინეთ ერთი რაზე ჩხუბობთ?—შეეკითხა ჩხაკვი, რომელიც ამათ ხმაურობაზე მოფრენილიყო.

— შენ, ეი, ჩემს თხილს თავი გაანებე, თორემ მე ვიცი შენი!

— უკაცრავად, ქალბატონო,—მიუგო ციყვმა, ეს თხილის ბუჩქი პირველად მე აღმოვაჩინე.

— შენ რომ ჩემი თხილის ბუჩქი, აღმოგიჩენია, აქ საკვირველი არაფერია, მაგრამ მე მსურს გავიგო, რა უფლებით დაისაკუთრე იგი?

— მე მეკუთვნის იგი იმ უფლებით..

— არავითარის უფლებითაც არ გეკუთვნის შენ ეს ბუჩქი. რადგანაც მე მოვფრინდი, ამიტომაც ამ ბუჩქს მე ვისაკუთრებ“.

სწორედ იმ დროს, როდესაც ციყვი ჩხაკს უნდა მივარდნოდა, საიდანღაც სეტყვასავით წამოვიდნენ ქვები და მათ ის ღა დარჩენოდათ, რომ დროზედ თავი დაეხწიათ ამ უბედურებისთვის და ასეც მოიქცნენ.

— აი თქვე, სუსნიებო!—„უყურეროდნენ ქვეიდან ბიჭები, რომლებიც თხილისთვის მოსულიყვნენ ჭალაში, ეხლა კი ალარაფერს არ დაგინარჩუნებთ“ და ამ სიტყვებთან ერთად ბიჭუნები შეუდგნენ თხილის კრეფას.

— ამ თხილის ქვეშ, მგონი, მშვენიერ დროს ატარებენ, წაიბუტბუტა მოიჯარადრემ, რომელიც ამ დროს ბუჩქს მოუახლოვდა.

— აბა, ბატონო ქურდ-ბაკაცებო, ნება მიბოძეთ ბეურები მაგრა აგისრიესოთ, რადგანაც თქვენ ძრიელ შემცდარი შეხედულება გქონიათ კერძო საკუთრებაზე“.

— აი მშვენიერი ბუჩქი! ეს სწორეთ ისეთია, როგორიც ჩვენ გვჭირდება? რიხიანი ხმით დარაბრახა კაპრალმა, რომელმაც პატრულით მოსულიყო ჭალაში. ჯარის კაცებმაც საჩქაროზე იშიშვლეს ხმლები და ბუჩქის მოსაკრელად მოემზადნენ.

— მოითმინეთ! —შეჰყვირა მოიჯარადრემ.

— თქვენ ვინა ხართ? ბუჩქის პატრონი?—„შეეკითხა კაპრალი.—თუ არა,—გთხოვთ მიბრძანდეთ!

— მე მოიჯარადრე ვარ.

მე რა, რომ მოიჯარადრე ხართ? თქვენ თვით ამ ბუჩქის მოჭრის ნება არა გაქვთ. მე კი მაქვს ეს უფლება. გთხოვთ-ნუ გვიშლით.

— მაშასადამე. კანონები, რომელნიც კერძო საკუთრებას უზრუნველ ჰყოფენ მოსპობილან,—ცნობის მოყვარეობით შეეკითხა მოიჯარადრე.

— დიახ, ბატონო, ამ შემთხვევაში ასეა; იარაღის წინაშე ყოველივე კანონი სდუმს. გთხოვთ ამ ადგილის პატრონთან მიმაცილოთ, რადგანაც მე მას, რეკვიზიციის შესახებ, მოწერილობა უნდა წარვუდგინო

მთ ვერც კი მოასწრეს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, როდესაც იმავე ადგილს მოადგა რკინის გზის მიწის მზომელი ძუშებით მან მომართა ნიველირი, გაზომა ადგილი, შეადგინა გეგმა და მუშებს განკარგულება მისცა:

— მოსჭერით აგერ ის თხილის ბუჩქი.

ითქვა და ასრულდა.

— მოითმინეთ რომელი უფლების ძალით დათარეშობთ თქვენ ამ ჩემს ადგილში და დაუკითხავათ სჩეხავთ ხეებს?—ეკითხება მას ადგილის პატრონი.

იმ უფლების ძალით, რომელიც კერძო პირებს საკუთრებას ართმევს სახელმწიფო საჭიროებისთვის.

— მიბრძანდით!—ადგილის პატრონი სრულიად დაკმაყოფილებულა ამ პასუხით შინისკენ გაემგზავრა.

— ამას ჰქვიან კერძო საკუთრების უფლების კანონიერი დარღვევა.—აძბობს კაპრალი.

— მხოლოდ უპირატესობა ეძლევა მას, რომელიც უკანასკნელი მოდის —ბუზღუნებს მოიჯარადრე.

— რადგან ასე, მაშ მოდი და ჩვენც ეხლავე შევუდგეთ თხილის დასაკუთრებას!—ჩურჩულებენ ბიჭუნები.

— მაშ მეც ეხლავე შევუდგები რეკვიზიციას!—აძბობს ციყვი.

— არა მოდით ეხლა და დაჭარწმუნეთ, რომ ჩვენში არსებობს რომელიმე კერძო საკუთრების დამცველი კანონი! —წრიპინებს თაგუნა.

ნ. ბაქრაძე.

ბიბლიოგრაფიული ამბები

ს. მაჩხანელი. ძველებურად ... ბადებს აქაური ცხოვრება. თუ ძველს არა მიუმატა-რა ახალი არაფერი შეგვმატებია. ისევ იმ ჩვეულებრივებს სეჩითა-

ვართ შებერობიდნი, როგორც აქამდე ვიუსვით. საზოგადო საქმე იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ეს ჩვენი ბირადი ანგარიშებისათვის ხელ-საყრელია. ჩვენებური გლეხი კი განაგრძობს ისევ ძველებურ ცხოვრებას; ეკონომიურად დაქვეითებული და ეოველ კვარ გონებრივ სადარგს მოკლებული, ეგოიზმი, სიბნელეში ჩადგომია სულს.

თუმცა შედარებით ეს სოფელი უკეთეს მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ აქაური, განთლებული საზოგადოება ხელს უწყობდეს იმ მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ჩვენში არსებობს რამდენიმე საზოგადო დაწესებულება: ორი საშრეკელო სკოლა, ქალებისა და ვაჟებისა და საზოგადო საბკურნალო, რომელნიც დიდს კრიზისს განიცდიან, მაგრამ ვის რა ენადგება?—არსებობდა აგრეთვე სოფლის საამკითხველო და თეატრიც, მაგრამ, ეამთა ვითარებამ ხელიდამ გამოგვაცალა, აღგილობრივ ინტელიგენციის უეურადღებობით. მათი მეახლეობით, ჯერ საამკითხველოს წვითა და დაკვეთ შეძენილი წიგნები ნახევარზედ მეტი დაკარგა და დანარჩენი თაკვების სასრდოდ არის გამხდარი. თეატრის მხოლოდ კედლები-და არის დარჩენილი და ექნება ეს კვალიც ძალე ყაიშალოს. ამ საქმეზედ რამდენიმე ბირმა აღძრა კითხვა, მაგრამ ხმა ეკი დარჩა „ხმად მდაბალებლისა ეადანოსა შინა“. ეველამ კარგად იცის რა ძვირფასი საუნჯეა სოფლისთვის ეველა ეს ზემოდ ჩამოთვლილი დაწესებულებანი და რა საგალალოა მისი დაკარგვა სოფლის ეეურადღებობით. არც ისე ძნელი არის ჩვენი საზოგადოებისთვის მათი აღდგენა, რადგანაც საშუალება არის, მაგრამ ამისთვის შრომა არის საჭირო და აქაურ ინტელიგენციას კი შრომისათვის არა სცალიან, მას სხვა საქმე აქვს, დროს გატარება, ქეიფობა, ბირადი ინტერესების დაცვა და ურთიერთის ჩაგვრა, რა თქმა უნდა ეს ეეფრო კეთილიან ბირებისაკენ ჭეშდება. **ვეფხვი.**

—

სადგური მუხიანი. აქ ორი წელია, რაც არსებობს ეფასო სახალხო საამკითხველო, ამ ხნის განმავლობაში მან ძალიან-ძალიანობით გამოიტანა სული, მაგრამ ესდა კი ეკიდურეს მდგომარეობაშია ჩაკარდნილი. მას არ აქვს არავითარი შეძლება გადიხადოს ძველი ვალი და გამოიწეროს ახალი კაზეთები საჭირო დახმარება, რომ საამკითხველო მთლად არ გაქრეს. კარგი იქნება რომ საამტრედიის და ქუთაისის წ. ბ. გამგეობა ეამგეობენ. გასეოფილების გამგეობა ეაჩქარებდნენ დახმარებას, რისთვისაც მას უკვე მიმართა თხოვნით საამკითხველოს საამზრუნველომ. ამ სადგურის ახლო-მახლო მცხოვრებთ ბაზრობა უნდათ აქ დაარსონ და კაკეთონ ეაფანი, მაგრამ ზოგიერთნი შიშობენ, ვაი თუ ეაფანის შემოსავალის ნაწილი მთავრობამ წაიღოსო და კადასახადი მოგვმატოსო, ამას ისიც ზედ ერთვის, რომ ადგილის პატრონები სადც მოსადინელია ბაზრის მოთავსება, ვერ შეთანხმდნენ ადგილის დათმობაზე ბაზრისთვის და ამის გამო ეს საესარგებლო და აუცილებელი მათთვის საქმე ბრკოლდება.

აქ გამეფებულია დოთობა და არდანზე თამაში. თვითკანვითარებას და კულტურული მუშაობას არ აქცევენ ეურადღებას და მთელს თავისეფალ დროს და უკანასკნელი ოფლით ნაშოვარ გროშს ისევაც დარიბი ხალხი დოთობას ანდომებს, რასაც ხელს უწყობს ეეიტობა და დღეკანდელი პირობები. თუ ერთი დოთობაზე თავისის ოფლით ნაშოვარი ფულსა ჭარჯავს. მეორე სხვისი ნაოფლარით სარგებლობს ამ მხრივ ცნობილი არიან სადგურის ზოგიერთი მოსამსახურენი, ეს ვაგონატონები სულ იმას და ცდილობენ, რომ რაიმე ნაირად ვინმე ჩაიგდონ ხელში და დუქანში წაართონ. აქ მეოთი მეისრეები და საქონლის გამოგზავნ-მიმდებელები ისე ვერ აწარმოებენ საქმეს თუ ამ ვაგონატონების სურვილი არ დაკმაყოფილდეს და ბოლოს კარგათ არ გამოდეშეს. № (2).

—

სადგ. მოლითი. ამ სადგურიდან რამოდენიმე სეეენის სიშორეზე არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა. მატარებლით კამგზავრთა ერთ ხელ ეაუნახავთ ადამიანს ამ სკოლის უზარმაზარი შენობა თავის ეზოს მშვენიერი მოაჯრით. მხოლოდ ერთი რამ აუშნოებს ამ სოფლის დაწესებულების სიმშვენიერეს, ეს იმის წინა ოთახის ჩამორეცხილი კედლები. რა კარგი დასამგზავრებით კეიეგეთ, ეს ოთახი მასწავლებელთა სკრებულო ეოფილა, მაგრამ რახან უმეფრის მასწავლებელს ბატ. სერგო დამბაშიძეს ის თავის სკეენოდ გადუქცევია, მის რემონტიც ადარავის მოუსურვებია... ამ სკოლაში შემოდგომის რეკესია ეკვე დამთავრებულია. ეეეკვედა, რაკი სხვაგან, ისე აქაც ბატ. სუდაკოვი რუსულის სწავლებას პირველ წლიდანვე მოითხოვდა, მაგრამ ადგილობრივი მასწავლებლები ამაზე კრინტსაც არ სძრავენ არ ვიცი ემორჩილებიან ასეთ განკარგულებას, თუ სიიდუმლოდ ინახავენ. აქ მეტად კეკრცლებული ეოფილა ბავშვების ავადმეოფობა, მეტადრე წითელა. ერთი სკოლის შეკრება კიდეც ემსხვერშლნა ამ სენს, რომელიც მასწავლებლებისა და მოწავლეების თანდასწრებით კასვენეს 14 დეკ. სოფლებში ქუთაისის კუბ. არც კასაკვირველია ადგილობრივი მცხოვრების საქმე: სახლში საჭმელი. ჭადი არ კასწინია და მუდამ დღე კი დუქნებში ქეიფობენ ჩვეეულებად ჭქონებია აგრეთვე ადგილობრივ ინტელიგენციასაც დუქნებშიეე ვახშამის მართვა, სადაც უზომო ქეიფ-ნადიმს ეწეკიან.

გამვლელი.

რამდენად მართალია?

(პასუხად ბ-ნ მ. ნასიძეს)

„სახალხო გაზეთის“ 174-ე ნომერში დაიბეჭდა ბ-ნი მ. ნასიძის კორესპონდენცია „ხმა ბაქოდან“. ამ კორესპონდენციის პირველი თავი მომართულია ჩემს წინააღმდეგ და ჩემს წერილს შეეხება, რომელიც „საქმის“ 45-ე ნომერში დაიბეჭდა „ბაქოს რამე-რუმე“-ს სათაურით.

„ეს ახირებული მოამბე, — სწერს ჩემზე ბ-ნი ნასიძე—„საქმის“ მკითხველებს მოუთხრობს, ვითომც ბაქოს ფილიალური განყოფილება ქ. შ. წ. ქ. გამავრცელებელ საზოგადოებისა **განგებ საიდუმლოებით ამოსავს თავის მოქმედებას**“. (ქვევით) „ასეთი სიცრუე სწორე მოგახსენოთ იშვიათია“.

შემდეგ ბ-ნი ნასიძე გვამცნობს რომ, განყოფილების გამგეობას 1909 წელს დაუბეჭდავს ანგარიში და განყოფილების წევრებისათვის დაურიგებია. აგრედვე მისი (ნასიძის) „ხმა ბაქოდან“ თურმე ქვეყანას ატყობინებს საქმის ვითარებას. „ნუ თუ ასეთ საჯაროდ მოქმედებას ჰქვიან საიდუმლოებით მოცული?“ — ჰკითხულობს ბ-ნი ნასიძე.

რამდენად მართალია ბ-ნი ნასიძე? ჩემი წერილის დასაწყისშივე მე ვიხსენიებდი განყოფილების სახელობაზე ბაქოში არსებულ სკოლას და ვსწერდი: „საუბედუროდ **ჯერ-ჯერობით** არავინ იცის **როგორ მიდის** ხსენებულ სკოლის საქმე, მისი ანგარიში არასოდეს **არ შეგვხვედრია ეურნალ-გაზეთებში** (ბ-ნო ნასიძევ, **არ შეგხვედრია** არ დაბეჭდილა-ს არა ჰნიშნავს) და, **თუ არა ვცდები**, ერთხელაც არ ყოფილა **მგონია** დაბეჭდილი“.

როგორც მკითხველი ხედავს, ჩემს წერილში გადაჭრით არსად არ მითქვამს და არც ვამტკიცებდი, ვითომც გამგეობას სკოლის ანგარიში არა აქვს-მეთქი. მით უმეტეს არ ვამტკიცებდი არც იმას, რომ გამგეობას არავითარი ანგარიში არა აქვს თავისი წარსული მოღვაწეობისა-მეთქი, მაგრამ საქმე აგრე არაა.

როგორც ბ-ნ ნასიძის წერილიდან სჩანს, გამგეობის მოქმედება მისთვისაც მართლაც **„საიდუმლოებით ეოფილა მოცული“** მას არ სცოდნია, რომ ქართულ სკოლაში ქართულის მცოდნე მასწავლებელი არ ჰყოლია. ეს გამგეობის საოცარი მოქმედება გამოამეღავნა სახალხო სკოლების ინსპექტორმა კაპტოლოვმა, და ბ-ნმა ნასიძემაც მხოლოდ მაშინ აღნიშნა ესა.

მე ვსწერდი ბაქოში ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების საპიროებაზე და დავსძენდი: „რომ ამ გვარ კულტურულ დაწესებულებას (იგულისხმეთ სკოლა და ბიბლიოთეკა) აქ კარგი ნიადაგი და კარგი მომავალიც ექნება, საპიროა, რაც შეიძლება მეტ წევრების მიზიდვა, ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა განყოფილების მოქმედება საიდუმლოებით არ იქნება მოცული და თვითეული მისგან გადადგმული ნაბიჯი **ყველასათვის** აშკარა გახდება; (**ყველისათვის**, და არა მხოლოდ განყოფილების წევრებისა და გამგეობასთვის) ამ შემთხვევაში ფართედ უნდა გაეოონ კარები ჩვენი საზოგადოების **დემოკრატიულ ნაწილს**“. ბ-ნი ნასიძე მხოლოდ სიტყვა „საიდუმლოს“ ჩაჰფრენია და კრინტსაკარა სძრავს, არც ჩემ წამოყენებულ კითხვაზე (ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება) და არც იმ დემოკრატიულ ნაწილზე, რომელიც მე მოვიხსენიე. ზემოდ ამოწერილი ჩემს წინანდელ სიტყვებში, როგორც მკითხველი ხედავს, არსად არ არის ნათქვამი განყოფილების გამგეობა **„განგებ საიდუმლოებით ამოსავს თავის მოქმედებასა“**, როგორც ამას ბ-ნი ნასიძე ამბობს; და თუ მე სიტყვა „საიდუმლოებით მოცული“ ვიხმარე ეს უფრო იმიტომ რომ, სახეში მქონდა განყოფილების მომავალი მოღვაწეობა (მაგალითად ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება) და აგრედვე ჩვენი საზოგადოების ის **დემოკრატიული ნაწილი**, რომელიც მე სიტყვა „საიდუმლოს“ შემდეგ მოვიხსენიე და რომლითაც მე ვგულისხმობდი ჩვენი საზოგადოების მშრომელ და შეგნებულ დემოკრატიულ ნაწილს, რომლისთვისაც მართლაც საიდუმლოებით არის მოცული განყოფილების მოქმედება. აი, ამ დემოკრატიულ ელემენტებთან დაახლოვებისა და მათ წევრებად ჩაწერვას ვურჩევთ განყოფილებას, ცდილობდა თუ არა გამგეობა, რომ მისი მოქმედება **ყველასათვის** აშკარა ყოფილიყო? ამისათვის საკმარისი როდია ერთის წლის წინად დარიგებული ანგარიში. **დოლი.**

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. 16 დეკემბერს, ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრემ, ქ-ნ ჩირგაძისა და შოთაძის მონაწილეობით წარმოადგინა იუმკევიჩის 4 მოქმედებიანი დრამა—„მეფე“, ალ. იმედაშვილის ნათარგმნი. ეს დრამა უადგილო სიცილით, კომედიად გადააქციეს. საზოგადოების ყურადღება მიიქციეს ქ-ნ ჩირგაძემ (ენიას როლში) და ქ. შოთაძემ (მაშოს როლში), როგორც ყოველთვის კარგი იყო ბ. გოცირიძე (ერშ მკერვალი).

ქ. ციმაკურიძეს სულ ეცინებოდა, მაშინაც კი, როდესაც ჩაის სვამენ.

შევნიშნავ ბ. ჭიაურელს, მამასთან ლაპარაკის დროს რომ არ გასცინებოდა, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

საპიროა რეჟისორმა ყურადღება მიაქციოს სტატისტებს, რომელთაც სცენაზე დგომაც კი არ იციან,

სცენარიუსმაც თავის დროზე უნდა გამოუშვას მსახიობნი. ადეენოს თვალყური. მეორე მოქმედებაში მან უფიქრელოდ შემოუშვა სტუდენტი ალექსანდრე და ამით ლაპარაკი შეაწყვეტინა მეჩექმე შმილს, რომლის სიტყვებიც გრძნობიერი იყო და ხალხიც სიამოვნებით ისმენდა. **ვ. ნ.**

—

ქუთაისი. გასტროლი ვ. ა. ალექსი-მესხიშვილისა. 18 და 19 დეკემბერს, ქუთაისის თეატრში შესდგება გასტროლი ჩვენი საყვარელ მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილისა. წარმოდგენილი იქნება „ვიდრე ხვალ, ეფალო“ და „ლეგან, სამეგრელოს მთავარი“. ორივე პიესაში ნიჭიერი მსახიობი შეასრულებს უმთავრეს როლებს.

ამ სეზონში ეს პირველი გასტროლია და, მგონი, რომ საზოგადოება ღირსეულად დააფასებს თავის საყვარელ მსახიობს, რომელიც დიდი ხნის განშორების შემდეგ, ისევ დაბრუნდა ეროვნულ სცენაზე.

უცხოეთი

გერმანიის და ავსტრიის პროტესტი პორტუგალიის წინააღმდეგ.

როგოც ვწერდით, პორტუგალიის დროებითმა მთავრობამ დეკრეტი გამოსცა პორტუგალიიდან ბერების გაძევების შესახებ. ამ დეკრეტის ძალით გაძევებულ უნდა იქმნენ პორტუგალიაში ყმოფი უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი-ბერები. ავსტრიასა და გერმანიას არ მოეწონათ ეს დეკრეტი და თავიანთ ბერებს გამოესარჩლნენ. გერმანიის სტატს-სეკრეტარმა კიდერლენ-ვეხტერმა და გრაფმა ერენტალმა ოფიციალურად კიდეც კამოუცხადეს პროტესტი პორტუგალიას და მოსთხოვეს დეკრეტის გაუქმება. ბერლინის პრესა ამ ეკიცებს, თუ კიდერლენ ვეხტერის პროტესტმა არ გასჭრა, მაშინ საპიროა, მთავრობამ სასჯელი ზომები მიიღოს პორტუგალიის წინააღმდეგ. გერმანიის რადიკალური და სოციალ-დემოკრატიული პრესა კი ჰკიცხავს კიდერლენ-ვეხტერის ამ გალაშკრებას, რომლითაც მეტად ღირსეულ მდგომარეობაში ჩააყენა პორტუგალიის ახალგაზდა რესპუბლიკა. სოც.-დემოკრატიული პრესა გერმანიის მთავრობას ორპირობას სწამებს და აბრალებს: გერმანიაში იეზუიტებს მავნე ელემენტად სთვლით, ხოლო უცხოეთში კი ეპარჩლებითო,

ინგლისის საიმპერიო კომფერენცია.

ინგლისის ახალშენები დიდის ამბით ემზადებიან საიმპერიო კონფერენციისათვის, რომელიც 1911 წლის 9 მაისს ლონდონში ეუნდა მოიწვიონ. ახალ ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა ადგილობრივს პარლამენტს უკვე აცნობა, რასაც და რის წინადადებასაც შეიტანს კონფერენციაზე. ის მოითხოვს, დაარსდეს საიმპერიო სახელმწიფო საბჭო, რეორგანიზაცია მოჰხდეს ახალშენთა ეწყებაში და ლონდონში მუდმივად იყვნენ ახალშენთა წარმომადგენლები, რომელთაც ახლშენები თვით ამოირჩევენ.

სახელმწიფო საბჭოს დაარსების პროექტს კანადაშიც ემხრობიან. პროექტს თავგამოდებით იცავს კანადის პარლამენტის ოპოზიციის მეთაური ბორდენი.

რუსეთი

საყოველთაო განათლება.

სახალხო განათლების კომისიამ სათათბიროში განსახილველად შეიტანა კანონ-პროექტი საყოველთაო განათლების თაობაზე. კომისია წინადადებას აძლევს სათათბიროს დადგინოს: საკმაო სკოლების გახსნა დაევალოს სოფლისა და ქალაქის თვითმმართველობათ, ხოლო სადაც თვითმმართველობანი არ არის, დაევალოს პირველ დაწყებით სკოლების დირექტორებსა და ინსპექტორებს, საპირო ფული ადგილობრივ მცხოვრებლებმა უნდა გაიღონ. ამასთანავე უნდა დაევალოს სამინისტროს, ყოველ წლივ მოითხოვოს თან-და-თანობითი მომატება იმ თანხისა, რომელსაც ხაზინა გადასდებს ხოლმე სკოლების საპიროებისთვის. მომავალ წლისათვის უნდა გადაიდოს არა ნაკლები 10 მილიონისა მაინცაო

სტუდენტების დეპუტაცია.

ნოვოროსიის უნივერსიტეტის სტუდენტთა დეპუტაცია პეტერბურგისკენ გაემგზავრა სტოლიპინთან გამოსაცხადებლად იმ ინციდენტის გასაცნობად, რომელიც სტუდენტებს ამას წინად ბალზე მოუხდათ დაპატიმრებულია 120 სტუდენტი.

თავის მოწამვლა.

პეტერბურგის ციხის მთავარ სამართველოში სარატოვის ციხის უფროსმა თავი მოიწამლა. მიზეზად ადგილიდან დათხოვნას ასახელებენ.

სტუდენტების გამორიცხვა და დატუსაღება.

სტაყეო ინსტიტუტიდან 4 სტუდენტი დაითხოვეს, სამთამადნოდან—9; ბესტუჟევის კურსებიდან 1 ქალი, მსმენელი.

ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენი ღამე გაჩხრიკეს. რამდენიმე დაპატიმრეს.

საყურადღებო კრება.

ხმები დადის ვითომ სახალხო განათლების მინისტრს განეზრახოს ღელასწაულებში მოიწვიოს კრება უმაღლეს სასწავლებლის დირექტორებისა და რექტორებისა იმ საკითხის გამოსარკვევად, რომელიც დაკავშირებულია ამ ბოლო დროს მოსწავლეთა არეულობასთან.

დუბროვინის მომხრენი.

გრაფ კონოვნიცინის თავმჯდომარეობით გამართულ კრებაზე ღრიალითა და განგაშით დუბროვინის მომხრენი შეიჭრნენ. კრება შესწყდა. გრაფ კონოვნიცინი გაიქცა. პოლიციამ ძლივს დააშოშმინა ბუშმარიტ რუსთა კავშირი.

ოდესის უნივერსიტეტის დახურვა.

პროფესორთა კრებამ დაადგინა მომავალ სექტემბრამდე უნივერსიტეტი დახუროს.

დუმბაძეს სამფლობელოში

იალტის გენერალ-გუბერნატორმა დუმბაძემ ერთი ექიმი დააჯარიმა, რომელიც თურმე პაციენტს უზრდელად ეპყრობოდა.

მოგზაურობის აკრძალვა.

პეტერბურგის ქალაქის უფროსმა ვარშაველ ებრაელ კურსისტკებს სატახტო ქალაქში საექსკურსიოდ მისვლა აუკრძალა.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ეოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებია, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ხაზ. და ქირურგ.

ა. მ. ბუგანოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ბ. ბ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შიგან. და საბავშვო.

ბ. გ. ბგასაროვი: 1½—2 ს. შინაგან. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ეკ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. ბეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებია, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. დარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მოსაწერი მიიღებს

24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12 წიგნი მოზრდილთათვის.**

საჩუქრად მიეცემათ: 1. ლევ. ტოლსტოის ბავშვება და სიყრმე, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით «ნაკადულისათვის», ლევ ტოლსტოის პიოტრაფიით და ხელოვნათით. 2. რჩეული მოთხრობათა კრებული.

ფასი ეურნალისა: წლიურად ფრიგე გამოცემა ბუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; **საზღვარ-კარეულ:** წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. **„ნაკადულის“** რედაქციაში (კოლოგინის პროსპექტზე, 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურო ქარვასლაში).

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
გამომცემელი **თ. პ. ი. თუმანიშვილ.**

მიიღება ხელის მოწერა ეურნალ

მოსავალი

წელიწადი მესამე

1911 წლისათვის ეურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ეღირება წლიურად 3 მან. **პრემია** ამ წლისა დეკემბრის ნომერთან დარიგდება, მომავალ 1911 წლისათვის კი შემდეგ გამოცხადდება.

რედაქ.-გამომც. **ვ. ი. რცხილაძე.**
რედაქციის ადრესი: **Тифлисъ, Барятинская 5. Редакція Мосавали“.**

თანამედროვე საუკეთესო
კეთილ ხმოვანი

გრამოფონები

(იგივე)

პატეფონები, აუარებელი ახალი რამ

ნახეთ, მოისმინეთ და დარწმუნდით. კონკები თვლიანი და ზამთრისა ველოსიპედები, საკერავი მანქანები ელექტრონის სარები და სხვა.

გასაახლებელი და შემკეთებელი სახელოსნო

ფასები ეოველ კონკურენციის გარეშე

ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა.

ნ. ლოგოფეტი

Тифлисъ, Головинскій просп, № 38, противъ разговнной почти.
(1—297—1)

დიდი ჯიხაიშის საზოგადოების ქსენონში 1911 წ. 1 იანვრიდან

საჭირო ქართულის მცოდნე

გამოცდილი ნასწავლი ბებია ქალი (აკუშერკა).

რომელსაც ჯამაგირი მიეცემა თვეში 30 მან., ბინა ერთი ოთახი გათბობით და განთებით და კვირაში ერთი დღის თავისუფლება.

დიდ-ჯიხაისმი და ზნა სოფლებიდან ქსენონში მონაწილეთაგან ბებია-ქალის მიერ აღებული მრავის სასყიდელი ეკუთვნის ქსენონს, კარემეებისაგან ადებული ფული კი თვით ბებია-ქალისა. მისი იქნება აგრეთვე რასაც აიღებს თავისუფალ დროს ბმი. თხოვნა უნდა გამოგზავნოს შემდეგ ადრესით:

Диди Джихайши, Д-ру Ев Г. Лосаберидзе. (286 3—იმერ.—2)

საოჯახო ნომრები ტფილისში

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ძმ. მილოვებისა № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეები ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიანიც არის.

ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე: თვიურად დაანომრავთ.

(50—181—23) პატრონი ნომრებისა ს. მუმცელიძე.

ერთად-ერთი თეატრალობის საწყობი ფოთოლების მრეწველობის

სალიანის თეატრალ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მაღაზია ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთ.) **და სევრიუგა** (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიოგგა)

მივიღეთ საუკეთესო ჰაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და ოთელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. ბირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(ტ—128—59)

ერთად-ერთი საწყობი ფოთოლების მრეწველობისა.

საუკეთესო ზოგელი (Кетовая) ხიზილალა

ტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ეროდიონ სოლნულაშვილი.